



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის

გრძანება № 11748

„6“ „11“ 2015წ.

ქ. თელავი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების თარიღის, კანდიდატთა  
რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის  
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი  
პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3  
სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული  
პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის -  
წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და  
წესდების მე-15 ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-15  
მუხლისა და მე-17 მუხლისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015  
წლის 06 ნოემბრის N15 საოქმო დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნები 2015 წლის  
11 ნოემბრის 12 საათზე;
- სპიკერობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 07  
ნოემბრიდან 2015 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით;

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების  
მიზნით შეიქმნას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი  
შემადგენლობით:
- ია ჭიკაძე - იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი (კომისიის  
თავმჯდომარე);
  - დოდო ონიკაძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-  
პროფესორი (კომისიის წევრი);
  - გ) მარი მამულაშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ტიპოლოგიური ლინგვისტიკის და მთარგმენტობითი საქმის პროგრამის მეორე  
წლის მაგისტრანტი (კომისიის წევრი).
4. საარჩევნო კომისიაში საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის პირველ  
სასწავლო კორპუსში, (ოთახი N36);
5. საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების პროცედურების ჩატარება  
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის  
საინფორმაციო დაფაზე;
7. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის  
წამყვან სპეციალისტს თამარ ხოტენაშვილს წინამდებარე ბრძანების  
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ძალაში  
შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის:  
ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის N 41).

უნივერსიტეტის რექტორი

ირმა შიოშვილი

